

ტიპობრივი ტესტები შინაგან დაავადებათა მართვა და გერიატრიის
საფუძვლებში

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისათვის

1. 48 წლის ქალს დაუდგინდა არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზი და დაენიშნა სათანადო მკურნალობა. უჩივის მშრალ ხველას, რომელიც რჩება ანტიბიოტიკოთერაპიისა და ამოსახველებელი საშუალებების დანიშვნის მიუხედავად. ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტებიდან, რომელს შეეძლო ამ სიმპტომების გამოწვევა?

ა) ამლოდიპინი

• ბ) ლიზინოპრილი

გ) მოქსონიდინი

დ) ფუროსემიდი

ე) ათენოლოლი

2. ქვემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან რომლის დანიშვნას უნდა მოვერიდოთ მოხუცებულ პაციენტებში?

ა) ბეტა ბლოკერები მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ

ბ) აგფ ინჰიბიტორები მარცხენა პარკუჭის დისფუნქციის დროს

გ) ვარფარინი წინაგულთა ქრონიკული ციმციმის დროს

• დ) დიგოქსინი გულის უკმარისობის ნიშნების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის დროს.

3. მართებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარდა ერთისა:

1. პერიკარდიტის დროს ტკივილი მკერდის ძვლის უკან იცვლება ხველისას, სტეტოსკოპის დაჭერისას, პოზის შეცვლისას

2. აორტიტის დროს აღინიშნება ე.წ. აორტალგია (მუდმივი ტკივილი მკერდის ძვლის უკან).

• 3. აორტის ანევრიზმის განშრევების დროს ტკივილი ლოკალიზდება მხოლოდ მკერდის ძვლის არეში

4. აორტის ანევრიზმის მწვავე განშრევების დროს ტკივილი აღმოცენდება მწვავედ და განიცდის ირადიაციას ხერხემალში

4. რიტმის დარღვევის რომელ ტიპს შეესაბამება ელექტროკარდიოგრამაზე PQ ინტერვალის გახანგრძლივება $> 0,20$ წმ?

1. წინაგულოვანი ექსტრასისტოლა
2. სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადა
- 3. პირველი ხარისხის ატრიოვენტრიკულური ბლოკადა
4. WPW სინდრომი
5. ბრუგადას სინდრომი

5. მწვავე პანკრეატიტის კონსერვაციული მკურნალობის ქვემოთ მოყვანილი მეთოდებიდან, რომელი არ არის მიზანშეწონილი

- ა) შიმშილი 2-3 დღე
- ბ) წვრილი ზონდით კუჭის წვენის მუდმივი ასპირაცია
- გ) ანტიტრიფსინული ანტიფერმენტების ტრანსფუზია (ტრასილოლი, კონტრიკალი)
- დ) მარლმჟავასა და პეპსინის მიცემა
- ე) ატროპინის ინექციები

6. კუპრისმაგვარი განავლის მიზეზი შეიძლება იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადების შედეგად განვითარებული სისხლდენა, გარდა:

- ა) არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტისა
- ბ) საყლაპავის ვარკოზული ვენებიდან სისხლდენისა
- გ) ეროზიული გასტრიტისა
- დ) საყლაპავის და კუჭის შესართავის გაგლეჯისა (მალორი-ვეისის სინდრომი)
- ე) კუჭის წყლულისა

7. პაციენტს აღენიშნება მძაფრი სუნის მქონე სისხლიანი ნახველი, რომლის გამოყოფა ძლიერდება დაწოლის შემდეგ და დილით . ფიზიკური გასინჯვით დოლის ჩხირისებრი თითები. კტ კვლევით სასუნთქი გზების

დილატაცია, ბრონქების კედლის გასქელება, ყურძნის მაგვარი ცისტები.
დაასახელეთ ქვემოთ ჩამოთვლილ მიზეზთაგან რომელი უფრო შეესაბამება
აღწერილ მდგომარეობას

1. ბრონქული ასთმა
2. მწველობა
- 3. ფილტვების ინფექცია და დრენირების დარღვევა
4. ფილტვის კიბო
5. სილიკოზი

8. ზრდასრული პაციენტების რომელ კატეგორიას შეიძლება მივუსადაგოთ
ტერმინი „გერიატრიული“ ?

- ა) იმათ ვინც მოხუცებულთა თავშესაფარებში ცხოვრობენ
- ბ) მოხუცებულთა თავშესაფარებში მცხოვრები 65 წელზე მეტი ასაკის პირებს
- გ) ნებისმიერ ადამიანს, რომელიც 65 ან მეტი წლისაა
- დ) ნებისმიერ ადამიანს, რომელიც 85 ან მეტი წლისაა

9. რომელია ყველაზე ხშირი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა
მოხუცებულებში?

- ა) დემენცია
- ბ) ფობიები
- გ) სუიციდი
- დ) დეპრესია

10. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, 19 წლის ქალი ბარძაყის ძვლის
მოტეხილობით გადაყვანილია კლინიკაში. მას უეცარად უვითარდება
ქოშინი, ხველა, შფოთვა და გულმკერდის რეტროსტერნალური
ტკივილით. გამოკვლევისას მისი პულსია 120, სუნთქვა 32, არტერიული
წნევა 120/80 მმ ვწყ. გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევისას
აღინიშნება მსუბუქი ორმხრივი ატელექტაზი. ელექტროკარდიოგრამა
(ეკგ) ნორმალურია. რა არის ყველაზე სავარაუდო დიაგნოზი?

- ა) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია
- ბ) აორტის დისექცია
- გ) პნევმონია
- დ) პნევმოთორაქსი

11. პაციენტს აღენიშნება მსუბუქი ქოშინი დატვირთვაზე, ცხელება, გამონაყარი წვივებზე. მუხლის, მაჯის და გოჯის სახსრებში დისკომფორტი. ფიზიკური გასინჯვით - ჰეპატოსპლენომეგალია, გენერალიზებული ლიმფადენოპათია და დაჭიმული ოვალური კვანძები ქვემო კიდურებზე. რენტგენოლოგიურად - ბილატერალური სიმეტრიული ადენოპათია ფილტვის კარის მიდამოში. ფილტვების ბიოფსიით - არაკაზეოზური გრანულომები. რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს აღწერილი პათოლოგიის სავარაუდო გამომწვევს.

- 1. სარკოიდოზი
- 2. შქრიანი დიაბეტი
- 3. სტეროიდების მიღება
- 4. დაავადება წარმოადგენს თანდაყოლილ პათოლოგიას
- 5. ინფექციური ინფილტრატები

12. პაციენტი უჩივის ფაღარათს, ნაწლავების მოქმედება 8-10-ჯერ ზოგჯერ სისხლის შემცველობით, მოვლითი ხასიათის ტკივილს მუცლის არეში, ტენეზმებს, ტემპერატურის მომატებას - 37,5-38,5 C-მდე, სახსრების ტკივილს, აირების დაგროვებას, პირის ღრუში გამონაყარს. ანამნეზში აპენდექტომია. სისხლში - ჰიპერქრომული ანემია, მაღალი ედსი, ექოსკოპიით ქოლეცისტოლითიაზი, პროქტოლოგის კონსულტაციით: ანალური ნაპრალი და პერიანალური ფისტულა. მიუთითეთ სავარაუდო დიაგნოზი:

- ა) დიზინტერია
- ბ) იერსინიოზი
- გ) კრონის დაავადება
- დ) არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტი
- ე) ფსევდომემბრანოზული კოლიტი